საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/136

ქ. ბათუმი 30 დეკემბერი, 2021 წ.

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე ნინო მხეიძის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 29^3-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №07 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დებულების, ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 08 დეკემბრის №06-01/127 დადგენილების, ბსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გიორგი დიასამიძის სამსახურებრივი ბარათის (MES 1 21 0001439501, 30.12.2021), საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის (№1, 30.12.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 08 დეკემბრის №06-01/127 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგად ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატი - **ნინო მხეიძე** (უფლებამოსილება - **5 წლის ვადით, 2026 წლის 30 დეკემბრამდე).**
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,კონკურსები“ და ,,აკადემიური საბჭოს დადგენილებები“).
3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტსა და ნინო მხეიძეს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**